

მანია ოთიაშვილი

ირინე მიქაძე

შის სხივი
მუსიკაში

მოსწავლის წიგნი

9



საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

„თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მანია ოთიაშვილი ირინე მიქაძე

შის სხივი
მუსიკაში

მოსწავლის წიგნი

IX კლასი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება №375 18.05.2012 წ.)



„წყაროსთვალი“
თბილისი, 2012 წელი

შემოქმედებითი ჯგუფი:

ავტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი - **მაია ოთიაშვილი**

ავტორი - **ირინე მიძაძე**

ეთნომუსიკოსი - **მარინა ხუსუნაიშვილი**

Finale 2008-ის გაკვეთილები - **მიხეილ ვანაძე**

გიტარის გაკვეთილები - **თამაზ ბაბუნია**

მუსიკალური რედაქტორი - **ლევან მიზანდარი**

ლიტერატურული რედაქტორი - **თამარ ფაშალიშვილი**

მთავარი რედაქტორი - **ნანა ღვინინიძე**

მხატვარ-დიზაინერი: - **თინათინ მღებრიშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მარინა ჯავახიშვილი

მიხეილ ვანაძე

დაკაბადონება:

ზაზა გელაშვილი

კახა წურწუშია

ფონოგრამების ავტორები:

მიხეილ ვანაძე

ლევან მიზანდარი

აუდიო-რეჟისორები:

მიხეილ ვანაძე

მიხეილ კილოსანიძე



„წყაროსთვალი“

ტელ: **2 74 63 69; 27 30 73;**

5(99) 76 10 39; 5(99) 30 16 84

ელ-ფოსტა: **tskarostvali@gmail.com**

© „წყაროსთვალი“ 2012

© მაია ოთიაშვილი



დასაწყისი...

„მარადიული მზის სხივი მუსიკაში!.. ეს შენ ხარ, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი!“ - ეს სიტყვები XIX საუკუნის რუს კომპოზიტორსა და პიანისტს ანტონ რუბინშტაინს ეკუთვნის. ჩვენი სახელმძღვანელოს სახელწოდებაც ამ სიტყვებისგან წარმოდგება. წიგნზე მუშაობისას ბევრს ვფიქრობდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით, რა პრინციპით აგვეგო მუსიკის სახელმძღვანელო და გადავწყვიტეთ, ისეთი მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოებები შეგვეჩრია, რომელთა მოსმენა უფრო მეტად გავლავივებს თქვენს ინტერესს მუსიკისადმი და, შესაძლოა, თქვენშიც აღძრას სურვილი რაიმე ახლის შექმნისა. მოვიძიეთ საინტერესო ამბები მუსიკის სამყაროდან, ცნობები გამოჩენილ შემსრულებელთა შესახებ. შევარჩიეთ და დაგიმზადეთ სიმღერების „მინუს“ ფონოგრამები, რომელთა შესწავლის შემდეგ თქვენც შეგეძლებათ სკოლაში საინტერესო კონცერტის ჩატარება. დღევანდელ გაკვეთილზე, რომელსაც სიმბოლურად „დასაწყისი“ ვუწოდებთ, სხვადასხვა ჟანრის სამ მუსიკალურ ნაწარმოებს მოვისმენთ: ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალს, ლუი არმსტრონგის „What a Wonderful World“-ს და ქართულ ხალხურ სიმღერა „ჩაკრულოს“. ეს უკვდავი ნაწარმოებები ჩანერილია პლატინის დისკზე და დედამიწის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციასთან ერთად გაშვებულია კოსმოსის უკიდვანო სივრცეში, როგორც დედამიწის ერთგვარი სავიზიტო ბარათი.



იმედია, ჩვენი სახელმძღვანელო დაეხმარება თითოეულ თქვენგანს მუსიკალური ხელოვნების უკეთ აღქმასა და შესწავლაში და მომავალი ცხოვრების გზის ღირსეულად გაკვლევაში.

იმაკვდიეთ

1. როგორ ფიქრობთ, რა ნიშნით შეირჩა ეს სამი ნაწარმოები?
2. რა აერთიანებთ, რა აქვთ საერთო ამ სრულიად განსხვავებულ ეპოქებში შექმნილ ნაწარმოებებს?
3. განსაზღვრეთ მათი ჟანრი და სტილი.
4. თქვენ რომელ ნაწარმოებებს შეარჩევდით კოსმოსში გასაგზავნად?
5. დაასახელეთ თქვენი საყვარელი მუსიკალური ნაწარმოებები.

მუსიკალური განწყობა

1. ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“
2. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი - სიმფონია №9, ფინალი
3. ლუი არმსტრონგი - „What a Wonderful World“





რომელი სიმღერაა უძველესი?

ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველეს ქალაქ იგარითში (ამჟამად სირიის ქალაქი რას-შამრა), 1959 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას იპოვეს 3000 წლის წინანდელი თიხის ფირფიტა ლურსმული დამწერლობით. ამ უცნაური ფირფიტის საიდუმლოს ახსნას კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ასირიოლოგი ენ კილმერი შეუდგა. მან წარწერის გაშიფვრას 15 წელი მოანდომა. მუსიკისმცოდნეთა და ისტორიკოსთა დახმარებით კილმერმა



შუმერული არფა

უძველესი სიმღერის თიხის ფირფიტა

ათასობით წლის წინანდელი მუსიკალური ნაწარმოების აღდგენა შეძლო.

ფირფიტის ზედა ოთხ სტრიქონზე სიმღერის მუსიკა და ტექსტი ეწერა, ბოლო ექვს სტრიქონზე — შესრულების წესი. მანამდე უძველეს მუსიკალურ მანუსკრიპტად ძველბერძნული პაპირუსი ითვლებოდა (მანუსკრიპტი — ლათ. manuscriptum — ძველი ხელნაწერი). ამ პაპირუსზე ჩანერილი იყო „ნოტები“ ევროპიდეს პიესისათვის „ორესტე“ (ძვ.წ. VI ს.). კილმერის აღმოჩენით „სანოტო დამწერლობის“ ისტორიამ 1400 წლით უკან გადაინია. გამოირკვა ისიც, რომ ასირიულ-ბაბილონურ ცივილიზაციაში იყენებდნენ შვიდბგერიან კილოს, რომელიც თანამედროვე ევროპულ მუსიკაშიც გვხვდება.

გაიმღერე

ფრაგმენტი ევრიპიდეს „ორესტედან“



გაიმღერე და გაიხსენე ნოტები




შუმერული ოქროს ხარისთავიანი არფა




კალიფორნიის უნივერსიტეტის სამმა მუსიკისმცოდნემ ხმელთაშუაზღვის უძველესი ცივილიზაციის საკულტო ჰიმნები სტერეო-ფირფიტაზე ჩანერა. ფირფიტას ჰქვია „ხმაიდუმალებიდან“. მკვდარ უგართულ ენაზე ჩანერილი ეს ჰიმნები მიძღვნილია ქალღმერთისადმი, რომელსაც უძველეს დროში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპიროზე მცხოვრები უგართის მკვიდრნი ეთაყვანებოდნენ. ამ სიმღერების შესრულება შეუძლია ყველას, ვისაც ელემენტარული წარმოდგენა აქვს მუსიკაზე. იგი მხოლოდ 2 ნოტისგან შედგება. მუსიკალური აკომპანემენტი სრულდება ლირაზე, რომელიც გაბმულ მაღალ ბგერას გამოსცემს. იგი იმ მუსიკალური საკრავის ზუსტი პირია, რომელზედაც ძვ. წ. XV-XIV სს.-ებში უკრავდნენ.

XX ს.-ის 70-იან წლებში კალიფორნიის უნივერსიტეტის მუსიკალური განყოფილების თავმჯდომარის, რიჩარდ კროკერის აზრით, ეს არის მსოფლიოში უძველესი სიმღერა, შეიძლება ითქვას, რომ იგი 3400-3500 წლისაა. საინტერესოა, რომ ამ ჩანაწერში აკომპანემენტს ლირაზე თავად რიჩარდ კროკერი ასრულებს.



ოთხსიმიან ლირაზე შესასრულებელი სიმღერა - ჰიმნი ბაბილონი ძვ.წ. 2000 -1700 წ.წ.



შუმერული ღვთაება



აკომპანემენტი (ფრანგ. accompagnement) — მელოდიის თანმხლები მუსიკა ერთი ან რამდენიმე საკრავით ან ორკესტრით.
ინტერპრეტაცია (ლათ. Interpretatio) — მუსიკალური ნაწარმოების თავისებური, შემოქმედებითი შესრულება.



ჟანა დარკის მონოლოგი

ფ. შილერი



ტ. ალბინონი

ფ. შილერი

სდუმს იარაღი, ხმა ომისა დადუმდა ველად, ისმის სიმღერა ირგვლივ ტკბილთა ჰანგთა მფრქვეველი, ქუჩებს მოედო მხიარული ფერხული მღერა, ტაძარი ბრწყინავს და ელვარებს საკურთხეველი.

მწვანე რტოებით მორთულია ჭიშკარი ყველა, სვეტებს ამშვენებს გვირგვინები შუქთამფრქვეველი, ფართო რაიმსი ველარ იტევს სტუმარს მრავალსა, დღესასწაულზე დასასწრებად აქ მომავალსა.

დღეს ყველა იწვის სიხარულით შთაგონებული, სუყველას გული ახლა ერთი აზრითა ფეთქავს, წინათ რომ იყვნენ სიძულვილით გაშორებულნი, ინანილებს აწ საერთო სიხარულთან ერთად.

აქამდე ფრანგი, მტერს ლაჩრულად დამონებული, თავის სახელით, წარმოშობით ამაყობს ეხლა, აღუდგენია ბრწყინვალეა გვირგვინსა ძველსა და საფრანგეთი კვლავ თავყანს სცემს თვის ბრძანებელსა.

მაგრამ მხოლოდ მე ვინც ეს საქმე ვქმენ დიდებული არ ძალმიძს დაგტკბე ამ ზეიმით, ამ ნეტარებით, რადგანაც ჩემი გარდაქმნილი, შეცვლილი გული, უკან მიმაფრენს ზეიმიდან ანაჩქარები.




ჟანა დარკი. მხატვარი პ. რუბენსი



განიხილორმაზია

ტომასო ჯოვანი ალბინონი ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორია. თავის ნაწარმოებებს ასე აწერდა ხელს: „dilettante venet“ — „ვენეციელი დილეტანტი“. ალბინონი წარჩინებული იტალიური ოჯახიდან იყო და არასოდეს არსად უმსახურია. ალბინონის ეკუთვნის უამრავი კონცერტი, სონატები, ბალეტები, სიმფონიები, ტრიო-სონატები, 50-ზე მეტი ოპერა, მესები, სოლო კანტატები.

პიესა სიმებიანებისა და ორგანისთვის, რომელიც ფართოდაა ცნობილი როგორც „ალბინონის ადაჯიო“ XX საუკუნის 40-იან წლებში, ალბინონის 6-ტაქტიანი მუსიკალური ფრაგმენტის ხელნაწერის საფუძველზე, დაწერა იტალიელმა მუსიკისმცოდნემ რემო ჯაზოტომ, თუმცა მკვლევართა აზრით, ალბინონის „ადაჯიო“, თვით რემო ჯაზოტოს ეკუთვნის. ასეთ ვარაუდს ისიც ადასტურებს, რომ ჯაზოტოს არასდროს წარუდგენია ალბინონის ის მუსიკალური ფრაგმენტი, რის საფუძველზე მან ადადგინა ავტორისეული მუსიკა.



რემო ჯაზოტო 1910-1998

მუსიკალური განცხადება

ტ. ალბინონი. Adagio მუსიკის ფონზე წაიკითხეთ ჟანა დარკის მონოლოგი და გამოავლინეთ საუკეთესო



ჟანა დარკი. მხატვარი ს. კერმანი



ი.ს. ბახი

მათეს პასიონი

„მათეს პასიონი“, იოჰან სებასტიან ბახმა 1727-1729 წლებში შექმნა. ის პირველად, წმინდა თომას ეკლესიაში, ლაიპციგში, 1727 წლის 11 აპრილს, დიდ ხუთშაბათს შესრულდა. ბახი ოთხი პასიონის ავტორია: „ლუკას“, „მათეს“, „მარკოზის“ და „იოანეს“. მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე ქრისტეს მოციქულები და მემადიანეები არიან, პასიონსაც საფუძვლად ქრისტეს ცხოვრება უდევს. ამ ოთხი პასიონიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა — მათესა და იოანეს პასიონებმა. პასიონი ორატორიის ნაირსახეობაა, რომელიც პროფესიულ მუსიკაში XVI საუკუნიდან გვხვდება. ბახამდე პასიონებს წერდნენ: ო.ლასო, რ.კაიზერი, ჰ.შუტცი, გ.ფ.ჰენდელი. ი.ს.ბახმა დააგვირგვინა, საზღვრები გააფართოვა და თემატურად გაამდიდრა პასიონი.

„მათეს პასიონი“ სრულდება ორი გუნდის, ორი ორკესტრის, ორგანისა და სოლისტების მიერ და შედგება 78 ნომრისაგან. მას საფუძვლად უდევს ბიბლიური სიუჟეტი ახალი აღთქმიდან და გვიამბობს ქრისტეს ცხოვრების შესახებ, თუ როგორ გასცა იგი იუდას, როგორ გაასამართლეს და ჯვარს აცვეს გოლგოთას მთაზე. პასიონი ორი ნაწილისგან შედგება: I – გაცემა, II – სიკვდილი.

პასიონი გრანდიოზული ციკლია, რომელშიც გაერთიანებულია თხრობითი რეჩიტატივები, ოთხხმიანი ქორალები, სხვადასხვა ხასიათის გუნდები: ლირიკული, ეპიკური, დრამატული; არიები, არიოზოები, რომლებსაც ასრულებენ არა მოქმედი პირები, არამედ გუნდიდან გამოყოფილი ხმები – სოპრანო, ალტი, ტენორი, ბანი. ისინიც გამოხატავენ თავიანთ განწყობას ამ ამბისადმი. თავად გუნდები მონუმენტური და ექსპრესიულია. მრავალფეროვანია საორკესტრო პარტიაც. მის ხმოვანებას ამდიდრებს ორგანი, ორკესტრის ხმოვანება ზარების რეკვას მოგვაგონებს ქრისტეს გოლგოთაზე ასვლის სცენაში და მამლის ყივილს, პეტრეს არიაში.

ი.ს. ბახმა კავშირი მუსიკასა და დრამას შორის გაცილებით უფრო ადრე დაამყარა, ვიდრე ეს მოხდებოდა ოპერაში, რომელიც მის დროს „კოსტიუმირებული კონცერტებად“ გადაიქცა. საოპერო კომპოზიტორებზე ადრე ბახმა მიაღწია უწყვეტ ანუ „გამჭოლ“ მუსიკალურ-დრამატულ განვითარებას.

Johann Sebastian Bach

ასეთია მაგალითად: „მათეს პასიონში“ ქრისტეს მონაფის, პეტრეს გასამართლების ეპიზოდი. პეტრეს სამჯერ ეკითხებიან — არის თუ არა იგი ქრისტეს მონაფე და პეტრე სამჯერვე უარყოფს იესოს. ამ დროს იყივლებს მამალი და პეტრეს გაახსენდება ქრისტეს სიტყვები: **„ვიდრე მამალი იყივლებდეს, შენ მე სამჯერ უარმყოფ“**. ეს სცენა შედგება რეჩიტატივების, გუნდებისა და პეტრეს არიისაგან — *Erbarne Dich*, იტალიურად – *Lamento* — „სინანული“, სადაც პეტრე მოციქული ლოცულობს, ტირის და მწარედ ინანიებს თავის საქციელს. პეტრეს არია, ბახის გენიალური შემოქმედების ერთ-ერთი სრულყოფილი და ულამაზესი ნიმუშია. არია დაწერილია ალტისათვის.

საგულისხმოა, რომ ი.ს. ბახი როგორც კომპოზიტორი თითქმის საუკუნე მივიწყებული იყო. 1829 წელს ლაიპციგში, „გევანდჰაუზის“ დარბაზში, ფ. მენდელსონის ხელმძღვანელობით საჯაროდ შესრულდა „მათეს პასიონი“ და სწორედ ამ დროიდან დაიწყო ბახის, როგორც უდიდესი კომპოზიტორის აღიარება.



პასიონი ლათინური სიტყვაა და ტანჯვას, ვნებებს ნიშნავს, მუსიკაში კი — ბიბლიურ თემაზე შექმნილი ვოკალურ-დრამატული ორატორიის ტიპის ნაწარმოები, რომელსაც ასრულებს გუნდი, ორკესტრი, ორგანი და სოლისტები.


მუსიკალური განცხადება

ი.ს. ბახი. მათეს პასიონი — პეტრეს არია. ასრულებს ამერიკელი მომღერალი ქალი მარიან ანდერსონი (კონტრალტო). მოუსმინე მუსიკას და დაწერე შენი შთაბეჭდილება

ფურცაიდან ნითხვა

გაიმღერე და იდირიჟორე, დაადგინე ტონალობები, გრძლიობები

ი.ს. ბახი. გუდასტვირი



მექსიკური ხალხური სიმღერა



ი. ვაისბერგი „გარმონი“



გერმანული ხალხური სიმღერა



გაიმღერე და იდირიჟორე

ასლანური მრავალუამიერი



მანინი ინფორმაცია



მარიან ანდერსონი
1897-1993

მარიან ანდერსონი დაიბადა აშშ-ში ქ. ფილადელფიაში. ექვსი წლიდან მღეროდა ბაპტისტთა გუნდში. სიმღერის გაკვეთილებს კერძო მასწავლებლებთან იღებდა, რადგან იმ დროისათვის აფროამერიკელი ზანგებისათვის ზოგადი განათლება მიუწვდომელი იყო. 1925-1928 წლებში გამოვიდა კარნეგი ჰოლში. 1930 წლიდან კი გასტროლებს მართავს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ფინელმა კომპოზიტორმა იან სიბელიუსმა მიუძღვნა პიესა „მარტოობა“, ხოლო იტალიელმა დირიჟორმა არტურო ტოსკანინიმ მასზე თქვა: „ასეთი ხმა საუკუნეში ერთხელ გვესმისო“.

1955 წელს ანდერსონი აფროამერიკელი მსახიობებიდან იყო პირველი, ვინც მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე გამოვიდა. 1958 წელს გახდა გაეროს კეთილი ნების ელჩი. ამ ორგანიზაციიდანაც მიიღო მშვიდობის პრემია. 1991 წელს გახდა გრემის დაჯილდოების ლაურეატი და 2005 წელს მის საპატივსაცემოდ საფოსტო მარკაც გამოვიდა. მ ანდერსონის რეპერტუარში შედიოდა ი.ს. ბახის, ფ. შუბერტის, ჯ. ვერდის, კ. სენ-სანსის, ი. ბრამსის, ი. სიბელიუსის, გ. მალერის ვოკალური ნაწარმოებები, ზანგური სპირიტუელსები.



მ. ანდერსონის მარკა

მუსიკა კინოსა და თეატრში



ტაპიორი

ლიბრეტო საფუძვლად უდევს ოპერასა და ბალეტს. თეატრალური სპექტაკლიც და ფილმებიც ლიბრეტოს მსგავს ლიტერატურულ საფუძვლებზე – სცენარებზეა აგებული. დრამატული სპექტაკლი, მხატვრული, დოკუმენტური თუ მულტიპლიკაციური ფილმი, უამრავი ტელე თუ რადიოგადაცემა არ იდგმება მუსიკის გარეშე.

გავიხსენოთ, ე. გრიგის სუიტა „პერ გიუნტი“, ჰ. იბსენის დრამატული სპექტაკლისთვის რომ შეიქმნა, ასევე რ. როჯერსის მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“, რომელმაც მეორე სიცოცხლე ფილმით მოიპოვა.

მუსიკა, თეატრში, კინოსა თუ ტელევიზიაში, სხვადასხვა როლს, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს; ის შეიძლება წამყვანი და მთავარი იყოს, ან მოქმედების ილუსტრაციას ახდენდეს, გვიხსნიდეს ფილმისა თუ სპექტაკლის შინაარსს, გადმოგვცემდეს ამა თუ იმ პერსონაჟის განწყობასა და ემოციურ მდგომარეობას...



კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე, როცა კინო მუნჯი იყო, ფილმებს ყოველთვის თან სდევდა მუსიკა, რომელსაც ასრულებდნენ იქვე, ფილმის ჩვენებისას, კინოდარბაზში მყოფი პიანისტი აკომპანიატორები – ე.წ. „ტაპიორები“. ესენი იყვნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები, მუსიკოსები, სტუდენტები. მუსიკა ეხმარებოდა მაყურებელს უფრო ღრმად განეცადა ის, რაც ეკრანზე ხდებოდა. „ტაპიორები“ უკრავდნენ პოპულარულ პიესებს და საკუთარ

იმპროვიზაციასაც, მთავარი იყო მუსიკას ეკრანზე ნანახის შინაარსი გადმოეცა. თურმე, დიმიტრი შოსტაკოვიჩიც ხშირად ყოფილა ტაპიორი. იმის გამო, რომ ყველა მუსიკოსს არ შეეძლო ცვალებადი კინოკადრის შესაბამისი მუსიკა შეესრულებინა, ტაპიორთა დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური ალბომი-სახელმძღვანელოები, რომლებშიც სხვადასხვა სახის, უპირველეს ყოვლისა, საყოფაცხოვრებო ტიპის მუსიკა იყო თავმოყრილი – რომანსები, სიმღერები, ცეკვები, მარშები, ფრაგმენტები კლასიკური ნაწარმოებებიდან. 1925 წელს, კინოეკრანებზე გამოჩნდა ეიზენშტეინის ფილმი — „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, რომლის ჩვენებას აკომპანემენტს უწევდა მუსიკალური ფრაგმენტები ბეთჰოვენის „ეგმონტიდან“, ჩაიკოვსკის „ფრანჩესკა და რიმინიდან“ და სხვ.

1912 წელს, პირველმა ქართველმა რეჟისორმა — ვასილ ამაშუკელმა გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, ხოლო 1916-18 წლებში, ალექსანდრე ნუნუნავამ გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“. ეს ფილმები მუნჯი იყო და მათ ჩვენებას თან ახლდა მუსიკა.



ვასილ ამაშუკელი
1886-1977

1929 წლისთვის, აშშ-ში გადაიღეს უკვე ხმოვანი ფილმებიც. 1931 წელს, ეკრანზე გამოვიდა პირველი ხმოვანი საბჭოთა ფილმიც „ცხოვრების საგზური“, შოსტაკოვიჩის მუსიკით. შოსტაკოვიჩს ეკუთვნის მუსიკა ქართველი რეჟისორის — მ. ჭიაურელის ცნობილი ფილმისთვის „ბერლინის დაცემა“ (1950). პირველი ხმოვანი ფილმებისთვის ბევრი

სიმღერა დაიწერა, რომლებიც მალე ძალიან პოპულარული გახდა და ხალხი დღესაც სიამოვნებით მღერის მათ. თანდათან ფილმებში ინსტრუმენტული მუსიკაც აჟღერდა.



ალექსანდრე ნუნუნავა
1881-1955



კადრი ფილმიდან „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“

ზოგჯერ მუსიკა „კადრს მიღმაც უღერს“, იგი ემოციურად ალამაზებს სიუჟეტს, მუსიკა გადმოსცემს გმირის აზრებსა და გრძნობებს.

თანამედროვე კინოფილმებს ელექტრონული და კომპიუტერული მუსიკითაც აფორმებენ.



სიმღერები ქართული კინოფილმებიდან და მოაწყე კონცერტი კლასში



საუნდტრეკი – სპეციალურად ფილმისთვის დანერგლ მუსიკას საუნდტრეკი ეწოდება. კომპოზიტორს ფილმისთვის ირჩევს რეჟისორი. იგი წყვეტს, თუ როგორი უნდა იყოს მუსიკა ამა თუ იმ სცენაში. კომპოზიტორი ჯერ უყურებს ფილმს, აკვირდება სცენებსა და კადრებს, განსაზღვრავს მათ ხანგრძლიობას და მხოლოდ ამის შემდეგ წერს მუსიკას ფილმისათვის.

რეჟისორი — კინოფილმის ან ტელე თუ რადიოგადაცემის დამდგმელი, რომელიც ხელმძღვანელობს შემოქმედების პროცესს და მუშაობს მსახიობებთან, დამდგმელ ოპერატორთან, მხატვრთან, კომპოზიტორთან ერთად.

პროდიუსერი — პროდიუსერი (ინგ. producer) – კინოსტუდიის მეპატრონე, რომელიც ხანდახან თავადაც დგამს ფილმებს.

მუსიკალური პროდიუსერი (ინგ. record producer) – პირი, რომელიც პასუხისმგებელია ხმის ჩანერის პროცესზე და ხარისხზე. იგი არჩევს რეპერტუარს, ადგენს პროექტებს, იქნება ეს ალბომი, სიმღერა, რადიოგადაცემა თუ სხვა. პროდიუსერი თავად ირჩევს ხმის რეჟისორებს, ასისტენტებს, მემონტაჟეებს. თავისი პროდიუსერები ჰყავს მსხვილ სტუდიებსაც. ზოგჯერ მუსიკოსები თავად ირჩევენ პროდიუსერებს.

ხმის ოპერატორი, რეჟისორი – ფლობს გახმოვანების ტექნიკას და ტექნოლოგიებს, სხვადასხვა აუდიოსისტემასა და პროგრამებს. შეუძლია იმუშაოს კინოსტუდიაში, თეატრსა და ტელევიზიაში და ა.შ.



მოუსმინე შენი საყვარელი ფილმის საუნდტრეკს და მოაწყე პრეზენტაცია კლასში.



ძმები ლუმერები



პარიზი. 1895წ. 18 დეკემბერი.
კაპუცინების ბულვარზე, გრანდ კაფეში, შედგა მსოფლიოში პირველი კინოსეანსი, რომელიც წარმოადგინეს ძმებმა ლუმერებმა – კინემატოგრაფიის ფუძემდებლებმა.



კადრი ძმები ლუმერების ფილმიდან

ყვითელი ფოთლები

კომპოზიტორი: გ. ყანჩელი

Cantabile ♩ = 62

Piano

შეღ. *

The first system of the musical score is in 3/4 time. The right hand starts with a half rest, followed by a quarter note G4, a quarter note A4, and a quarter note B4. The left hand plays a half note G3, a half note F3, and a half note E3. The system concludes with a whole note chord of G3, B3, and D4, marked 'შეღ.' and an asterisk.

შეღ. * mp pp შეღ. *

The second system continues the melody. The right hand plays a quarter note G4, a quarter note A4, a quarter note B4, and a quarter note C5. The left hand plays a half note G3, a half note F3, and a half note E3. The system concludes with a whole note chord of G3, B3, and D4, marked 'შეღ.' and an asterisk.

შეღ. *



The third system continues the melody. The right hand plays a quarter note G4, a quarter note A4, a quarter note B4, and a quarter note C5. The left hand plays a half note G3, a half note F3, and a half note E3. The system concludes with a whole note chord of G3, B3, and D4, marked 'შეღ.' and an asterisk.

შეღ. * mp pp შეღ. *

The fourth system continues the melody. The right hand plays a quarter note G4, a quarter note A4, a quarter note B4, and a quarter note C5. The left hand plays a half note G3, a half note F3, and a half note E3. The system concludes with a whole note chord of G3, B3, and D4, marked 'შეღ.' and an asterisk.

შეღ. *

The fifth system continues the melody. The right hand plays a quarter note G4, a quarter note A4, a quarter note B4, and a quarter note C5. The left hand plays a half note G3, a half note F3, and a half note E3. The system concludes with a whole note chord of G3, B3, and D4, marked 'შეღ.' and an asterisk.




მუხიჯალაობი განცვიითვა

გ. ყანჩელი. ყვითელი ფოთლები მოუსმინე მუსიკას და თვალი ადევნე სანოტო ჩანანერს

გიტარის ვაკვეთილი

ამ ვაკვეთილებზე თქვენ შეგიძლიათ თავად შეისწავლოთ ექვსსიმანი გიტარაზე დაკვრა. თითოეულ ვაკვეთილში მოცემულია ძირითადი აკორდი. ამ აკორდების თანმიმდევრულად შესწავლის შემდეგ თქვენ შესძლებთ თქვენი საყვარელი სიმღერის გიტარაზე შესრულებას.



ეს ექვსსიმანი გიტარის გრიფია. გრიფზე გადაჭიმულია ექვსი სიმი. გრიფი დაყოფილია არათანაბარ ნაწილებად - ნახატიზე მოცემულია პირველი, მეორე და მესამე კილო, სადაც თითების დახმარებით ავიღებთ ამა თუ იმ აკორდს. ცისფერი ხაზებით აღნიშნულია სიმები.



ყვითელი ფოთლები

მუსიკა გია ყანჩელის
ტექსტი პეტრე გრუზინსკის

ყვითელი ფოთლები
თან მიაქვს ქარს,
დააყრის ფიფქებად
შენ სახლის კარს.


გეძახი, არავინ
არა მცემს ხმას,
ყვითელი ფოთლები
სიჩუმეს ჰგავს.

მუსიკალური განფიქვანი

და მაინც ყვითელი
ფოთლების მნამს,
ყვითელი ფოთლები
სიჩუმეს ჰგავს.

გ. ყანჩელი - „ყვითელი ფოთლები“ ნ. მეტონიძის შესრულებით. მოუსმინე „მინუს“ ფონოგრამას და იმდერე თვითონ.


დაუკარი და გამოიცანი სიმღერის რომელი ნაწილია, დაადგინე რა ინტერვალია?



ქართველი კომპოზიტორი გია ყანჩელი თანამედროვე მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. მის მუსიკას მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებში წარმატებით ასრულებენ ცნობილი ორკესტრები, აღირებული შემსრულებლები, სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება საერთაშორისო ფესტივალები, რომლებიც ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებისადმი მიძღვნილი.

გია ყანჩელი 1935 წელს დაიბადა თბილისში ექიმის ოჯახში. მრავალი ნიჭიერი თანატოლის მსგავსად, ისიც დადიოდა მუსიკალურ სკოლაში, მაგრამ მხოლოდ უფროსების ხათრით. მუსიკის სიყვარული ოდნავ მოგვიანებით გაუჩნდა, როცა პირველად მოისმინა ცნობილი ჯაზური კომპოზიტორების გლენ მილერისა და დიუკ

ელინგტონის მუსიკა. ჯაზი მისი ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრი გახდა. სწორედ ამ მუსიკის სიყვარულმა გადააწყვეტინა გია ყანჩელს, პირველი პროფესია-გეოლოგობა მიეტოვებინა და კონსერვატორიაში ჩაებარებინა საკომპოზიტორო ფაკულტეტზე. წერის გამორჩეული მანერის გამო, ჯერ კიდევ სტუდენტური წანარმოებებიდან მიიპყრო პროფესიული კრიტიკისა და ფართო საზოგადოების ყურადღება. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, ყანჩელის შემოქმედებაში სიმფონიურ მუსიკას ეკავა ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი. ამ ჟანრმა მოუტანა მას საერთაშორისო აღიარება, ფართო საზოგადოების სიყვარული და პოპულარობა კი ქართველ კომპოზიტორს თეატრალური და კინომუსიკიდან ეწვია. ამ პერიოდის ნანარმოებებიდან აღსანიშნავია: შვიდი სიმფონია, ოპერა „და არს მუსიკა“, მუსიკა ფილმებისათვის „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი



აზდაკი — რამაზ ჩიკვაძე
სპექტაკლი
„კავკასიური ცარცის წრე“.



ჰამლეტ გონაშვილი

მთები“, „რეკორდი“, „როცა აყვავდა ნუში“, „მიმინო“, „არ იდარდო“, მუსიკა ცნობილი რეჟისორის რობერტ სტურუას მიერ რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლებისათვის: „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“ და სხვა.

1990წლიდან გია ყანჩელი საზღვარგარეთ მოღვაწეობს, თუმცა ხშირად ჩამოდის სამშობლოში და ქართველ მსმენელს ახალ ნაწარმოებებს აცნობს. კომპოზიტორის შემოქმედებაში აღსანიშნავია საორკესტრო ციკლი „ცხოვრება შობის გარეშე“, ვოკალურ ინსტრუმენტული ქმნილებები — „ქარის მერე“, „დიპლიპიტო“, „სიო“ და ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — „სტიქსი“ ალტის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის.

ადრეულ პერიოდში დანერგულ ყანჩელის ნაწარმოებთა შორის გამორჩეულია 1972წელს შექმნილ **მესამე სიმფონია**, რომელიც კომპოზიტორმა მეგობარს — თავისი ნაწარმოებების პირველ და უბადლო შემსრულებელს, გამოჩენილ ქართველ დირიჟორს ჯანსუღ კახიძეს მიუძღვნა. სიმფონიის შინაარსის გახსნაში ორკესტრთან ერთად დიდ როლს ასრულებს ვოკალის პარტიაც, რომლის მელოდიას სვანური ზარი უდევს საფუძვლად. ეს სადა და ძალიან ლამაზი მოტივი უფრო ხალხურად ჟღერდა, როდესაც მას უდიდესი მომღერალი ჰამლეტ გონაშვილი ასრულებდა. მისი განუმეორებელი ხმა განსაკუთრებულ სილამაზეს და გამომსახველობას ჰმატებდა ამ სიმფონიას. ერთხელ, საზღვარგარეთ ჩატარებულ გია ყანჩელის შემოქმედების საღამოზე მესამე სიმფონიას უცხოელი მუსიკოსები ასრულებდნენ. რეპეტიციებზე კომპოზიტორი ბევრს ეცადა, მომღერალს ვოკალის პარტია შეესრულებინა ისე, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო, მაგრამ — უშედეგოდ. ბოლოს ყანჩელმა ვოკალისტს გონაშვილის შესრულება მოასმენინა. უცხოელმა მუსიკოსმა არაფრით დაიჯერა, რომ ეს მომავადობელი ტემბრი ადამიანს ეკუთვნოდა. ჯანსუღ კახიძე დირიჟორობის დროს თავად ასრულებდა ვოკალის პარტიას.



გია ყანჩელი - სიმფონია № 3



მოიძიე და მოისმინე გია ყანჩელის „სტიქსი“ და მოაწყე პრეზენტაცია თემაზე – გია ყანჩელის შემოქმედება

გამოჩენილი დირიჟორები



ჯანსუღ კახიძე 1936–2002

ჯანსუღ კახიძე — ქართველი დირიჟორი, ლოტბარი, კომპოზიტორი და მომღერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1957 წელს ჩამოაყალიბა ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელმაც ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე ოქროს მედალი მოიპოვა. ჯანსუღ კახიძე იყო საქართველოს საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი და 1973 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრ-

დის საქმეში — გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი სისტემატიურად ატარებდა კლასიკური მუსიკის საღამოებს. შექმნილი აქვს მუსიკა კინოფილმებისთვის: „შერეკილები“, „პირველი მერცხალი“ (გ. ყანჩელთან ერთად), „დათა თუთამხია“ (ბ. კვერნაძესთან ერთად), „იავნანა“, „რაჭა, ჩემი სიყვარული“, „ყვარყვარე“ და სხვა. წარმატებით დირიჟორობდა ბავარიის, ლონდონის, პარიზის, მილანის ლა-სკალას, ვაშინგტონისა და ბოსტონის, სიდნეისა და მელბურნის ორკესტრებს.

აღსანიშნავია რომ ჯ. კახიძის სადირიჟორო ჯოხი ინახება ქ. ბუსეტოში, ჯ. ვერდის სახლ-მუზეუმში. 1993 წელს ჯ. კახიძემ დააარსა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, რომელსაც მანესტროს გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა მისი ვაჟი ვახტანგ კახიძე.

შერეკილები

კომპოზიტორი: გ. ყანჩელი

Lontano, molto rubato ♩ = 52

Piano

ppp

Reo. *

allargando

mp

pp

a tempo

loco

ppp

rit. molto

loco

მუხიჯალაღი განვითარება


გ. ყანჩელი. მუსიკა კინოფილმიდან „შერეკილები“
მოუსმინე მუსიკას და თვალი ადევნე სანოტო ჩანაწერს

ვენის კლასიკოსები



ი. ჰაიდნი, 1770 წ.

ჩვენ ხშირად ვახსენებთ სიტყვებს კლასიკა, კლასიკური. ლათინური სიტყვა classicus — „სანიმუშოს“ ნიშნავს. კლასიკოსებს ვუნოდებთ იმ ადამიანებს, რომელთა შემოქმედებაც საყოველთაოდ აღიარებული და სამაგალითოა. კლასიკასა და კლასიკურს უნოდებენ სრულიად სხვადასხვა დროს შექმნილ ხელოვნების სრულყოფილ, მისაბამ და მაღალმხატვრულ ქმნილებებს, რომელთაც დროის გამოცდას გაუძლეს. XVIII ს.-ის II ნახევარში ავსტრიაში, ვენაში



ლ. ბეთჰოვენი, 1803 წ.

დაიბადა მუსიკალური მიმართულება, რომელსაც ვენის კლასიკური სკოლა ეწოდა. ვენის კლასიკოსებმა მთელი ეპოქა შექმნეს მუსიკის ისტორიაში. ესენი იყვნენ: ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი. ამავე სკოლის წარმომადგენელია გერმანელი კომპოზიტორი გლუკიც. რასაკვირველია, მათი მუსიკა განსხვავდება ერთმანეთისგან. ჰაიდნის მუსიკაში სჭარბობს ნათელი, სიხარულით სავსე განწყობა, მოცარტის შემოქმედებაში ძლიერია ლირიკულ-დრამატული სანწყისი, ბეთჰოვენის მუსიკა კი სავსეა ბრძოლის, წინააღმდეგობის გადალახვის, გამარჯვების პათოსითა და გმირული ხასიათით.

ბეთჰოვენი. სიმფონია № 5. I ნაწილი



ჰაიდნი. სიმფონია №94, II ნაწილი



ვ.ა. მოცარტი, 1780 წ.

ვენის კლასიკოსებს აერთიანებთ ჰუმანიზმი, ოპტიმიზმი და დემოკრატიულობა. მათ საბოლოოდ ჩამოაყალიბეს სიმფონიის, სონატის, სიმებიანი კვარტეტის, კონცერტის კლასიკური ფორმები, ბევრი რამ შეცვალეს საოპერო ფანრში და სიმფონიური ორკესტრის ახალი ტიპი შექმნეს. ჰაიდნს უწოდებდნენ „სიმფონიისა და კვარტეტის მამას“. ჰაიდნის სიმფონიები ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია მოცარტის უკანასკნელ სიმფონიურ შედეგებსა და ახალგაზრდა ბეთჰოვენის სიმფონიებს შორის.

ჰაიდნმა ჩამოაყალიბა კლასიკური სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაც.

ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი ერთმანეთს იცნობდნენ, პატივს სცემდნენ და აღფრთოვანებულნი იყვნენ ერთმანეთის ნიჭითა და შემოქმედებით. ჰაიდნი და მოცარტი მეგობრობდნენ კიდევ, მათ ერთად კვარტეტებიც დაუკრავთ.

კვარტეტების წერა ჰაიდნმა მასწავლაო, — ამბობდა მოცარტი და თავისი 6 კვარტეტი მიუძღვნა წარწერით: „ჩემ ძვირფას მეგობარს, ჰაიდნს“, ხოლო ბეთჰოვენმა 3 დიდი საფორტეპიანო სონატა დაუწერა ჰაიდნს.

მოცარტი ამბობდა: „არავის აქვს უნარი იხუმროს ან განაცვიფროს, გააცინოს ან ააღელვოს ისე ლაღად, უშუალოდ, როგორც ეს ჰაიდნს შეუძლია“.

ჰაიდნიც დიდად აფასებდა მოცარტს. ოპერა „დონ ჟუანი“ რომ მოისმინა, თავისი დროის უდიდესი კომპოზიტორი უწოდა მას. ბეთჰოვენის გაცნობის

შემდეგ კი ჰაიდნი წერდა: „მისი ნიჭის ძალა და იდეების სიდიადე



მოცარტების ოჯახი

არსებული წესების ვიწრო ჩარჩოებში ვერაფრით ეტევა... ის ისეთ ნაწარმოებებს ქმნის, რომ მალე იძულებული ვიქნები, კომპოზიტორობას თავი დავანებო“.

„შეხედეთ ამ ქაბუკს! იგი მალე მთელს მსოფლიოს აალაპარაკებს“. — მიმართა მოცარტიმ აუდიტორიას, როცა მოცარტის მიერ შეთავაზებულ თემაზე ბეთჰოვენმა ბრწყინვალე იმპროვიზაცია შექმნა და მსმენელთა აღტაცება დაიმსახურა თავისი დიდი ფანტაზიით, სითამამითა და შესრულების ახლებური მღელვარე მანერით.

ამ სამმა უდიდესმა ხელოვანმა მთელი ეპოქა შექმნა მსოფლიო მუსიკის ისტორიაში. ვენის კლასიკოსთა შემოქმედებამ გზა გაუკვალა მომავალი თაობების კომპოზიტორებს.



პატარა მოცარტის ქანდაკება ლონდონში

მოცარტი. სიმფონია № 40, I ნაწილი.



გაიმღერე და გამოიცანი, რა ნაწარმოებია.



ინფორმაცია

საინტერესოა ბეთჰოვენის III სიმფონიასთან დაკავშირებული ერთი ისტორია. მისი შექმნიდან ერთი საუკუნის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში, მთელი მსოფლიო შეძრა ცნობამ გიგანტური გემის, „ტიტანიკის“ დაღუპვის შესახებ. „ტიტანიკი“ ოკეანეში აისბერგს შეეჯახა, კატასტროფა გარდაუვალი იყო. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ბავშვებისა და ქალების გადარჩენა შეიძლებოდა, ადამიანები საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. და ამ დროს მოხდა წარმოუგენელი რამ: გემბანზე, გამოვიდნენ სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები, რომლებიც, იმ დროს, „ტიტანიკზე“ იმყოფებოდნენ და საღამოობით მგზავრებისთვის კონცერტებს მართავდნენ. მათ დაიწყეს ბეთჰოვენის III სიმფონიის დაკვრა. „ტიტანიკი“ ნელ-ნელა იძირებოდა, დასალუბად განწირული ადამიანები უსმენდნენ „გმირულ“ სიმფონიას და ეს მუსიკა სულიერად აძლიერებდა მათ. ბეთჰოვენის მუსიკა უღერდა ბოლო წუთამდე, სანამ ტალღებმა არ დაფარეს გემი და მუსიკოსებიც.

მუხიკალობი განცვიბიება

ჰაიდნი - სიმფონია №94, II ნაწილი
მოცარტი - ოპერა „დონ ჟუანი“, დონ ჟუანისა და ცერლინას დუეტი
ბეთჰოვენი - საფორტეპიანო კონცერტი №5, I ნაწილი



ინფორმაცია ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის შესახებ, გაეცანი ამ კომპოზიტორთა ბიოგრაფიასა და შემოქმედებას და გამართე პრეზენტაცია თემაზე „ვენის კლასიკოსები“

მუსიკა და საზოგადოება



რუჟე დე ლილი პირველად ასრულებს მარსელიეზას ისიდორ ლიპსის ნამუშევარი

ადამიანები უძველესი დროიდან ფიქრობდნენ, რომ მუსიკას, ხელოვნებას უდიდესი ძალა აქვს და მოქმედებს ადამიანზე, შეუძლია ბევრი რამ შეცვალოს, განაწყოს გმირული საქციელისთვის, გამოიწვიოს მასში სიხარული, სევდა, გაალამაზოს მისი ცხოვრება.

მუსიკის ყოველსავე ძალაზე მოგვითხრობს ანტიკური ხანის მითები, გავიხსენოთ თუნდაც მითი ორფეოსზე...

წარსულის და უახლესი ისტორიიდანაც ჩვენთვის ცნობილია, რომ სამშობლოს ბედით შენუხებული ხელოვნები სწორედ საკუთარი მუსიკით გამოხატავდნენ თავის დამოკიდებულებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, რომ სწორედ მუსიკა გამხდარა მათთვის მთავარი საბრძოლო იარაღი. მუსიკას შეუძლია ადამიანი აღაფრთოვანოს, წააქეზოს საომარი მოქმედებებისთვის. ამის მაგალითია სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში შექმნილი უამრავი რევოლუციური თუ ომის სიმღერა. მაგ: საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, საფრანგეთის არმიის ოფიცერმა — რუჟე დე ლილიმა დაწერა სიმღერა (1792 წ.), რომელიც რევოლუციურ პარიზში ქ. მარსელის მოხალისეების რაზმმა ჩამოიტანა და ამის გამო ეწოდა მას „მარსელიეზა“. 1879 წლიდან ის საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნი გახდა.

„მარსელიეზა“ — ფრანგ. — „La Marseillaise“ მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის ჰიმნად იქცა. 1940-1944წ. საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა „მარსელიეზა“, მაგრამ 1944 წ. პრეზიდენტმა დე გოლმა სიმღერა ისევ სახელმწიფო ჰიმნად დაამკვიდრა.


საქართველოში ასეთ ჰიმნად იქცა რევაზ ლალიძის სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ“, ილია ჭავჭავაძის ლექსზე კინოფილმიდან „გლახის ნაამბობი“; ქართული ხალხური სიმღერა „შავლეგო“, რომელიც ქართველმა ერმა შალვა ახალციხელის გმირობას მიუძღვნა. ორივე სიმღერას ეროვნული მოძრაობისა და 9 აპრილის დღეებში ხშირად მღეროდნენ.

ლეგენდა მუსიკის შესახებ



ბერძენთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ქალაქი თებე (ახლანდელი თივა), „შვიდჭიპკრიანი“ სიმაგრე, ათასი მითის ქალაქი, როგორც მას უწოდებენ, (ძვ. წ. 1300-1270) ძმებმა — ძეთოსმა და ამფიონმა გააშენეს. მათ ქალაქი გაამაგრეს და ძლიერ ქალაქ-სიმაგრედ აქციეს.

ჰომეროსის „ოდისეას“ მიხედვით, ძმები ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ძეთოსი — ბუმბერაზი, საქმიანი და ფიცხი, მწყემსი, მონადირე და მინათმოქმედი ყოფილა, ამფიონი კი კითარაზე დაკვრის დიდოსტატი. იგი ისე საოცრად აჟღერებდა საკრავს, რომ ჰერმესმა მას ციური ქნარიც კი აჩუქა. როცა ამფიონმა ჯადოსნურად ააჟღერა საკრავი, ღვთაებრივი სიმების ხმაზე ქვები თავისთავად მოგორდნენ და თავისით დალაგდნენ ქალაქის კედლებზე... ასე აშენდა, მითის მიხედვით, ქალაქი თებე. რომში აღმოჩენილია ბრწყინვალე რელიეფური ნიმუში: ამფიონს ქნარი უჭირავს ხელში, ძეთოსი კი ზის და უსმენს მას.



ფურცელიდან ჩითხვა

დაუკარი და იდირიჟორე

Temps de marche anime

მარსელიოზა

რუჟე დე ლილი

გაიმღერე და გამოიცანი რომელი სიმღერებია

ხალხური

ხალხური

რ. ლალიძე

გიტარის ვაკუთილი

სანამ თითებით სიმებს შევეხებით და შევეცდებით აკორდების შესწავლას, თავდაპირველად გიტარის აწყობა ვისწავლოთ. ამაში ჩვენ ფორტეპიანო დაგვეხმარება. სანოტო ჩანანერში მოცემულია თითოეული სიმის შესაბამისი ნოტი: I სიმი - **მი** ჟღერს I ოქტავაში, II სიმი - **სი** ჟღერს მცირე ოქტავაში, III სიმი - **სოლ** ჟღერს მცირე ოქტავაში, IV სიმი - **რე** ჟღერს მცირე ოქტავაში, V სიმი - **ლა** ჟღერს დიდ ოქტავაში, VI სიმი - **მი** ჟღერს დიდ ოქტავაში. დაუკარით ეს ნოტები ერთი ოქტავით ქვევით და ააწყეთ გიტარა.

ჟღერს პირველ ოქტავაში	ჟღერს მცირე ოქტავაში	ჟღერს მცირე ოქტავაში	ჟღერს მცირე ოქტავაში	ჟღერს დიდ ოქტავაში	ჟღერს დიდ ოქტავაში
მი	სი	სოლ	რე	ლა	მი
I სიმი	II სიმი	III სიმი	IV სიმი	V სიმი	VI სიმი



სუბკონტრ-კონტროქტავა დიდი ოქტავა მცირე ოქტავა I ოქტავა II ოქტავა III ოქტავა IV ოქტავა V ოქტავა არასრული ოქტავა



თოვლის ფიფქი

ტექსტი პეტრე გრუზინსკის
მუსიკა რევაზ ლალიძის

გარეთ თოვს და გულში მაინც დარია,
შენთან მოვალ, შენსკენ მომიხარია.
თოვლის ფიფქი თავნება ტუჩებზე რომ მადნება,
შენი კოცნა მგონია.
თოვლის ფიფქი თავნება ტუჩებზე რომ მადნება,
შენი კოცნა მგონია.

მისამღერი

დილა ოდელა დილა ოდელა ნანა,
დილა ოდელა დილა ოდელა ნანა,
დილა ოდელა ნანინა, დილა ოდელა ნანინა,
აბა, ოდელა დელი ოდელა.

თოვლი, როგორც ზამბახების ფანტელი
ზედ მეყრება ციდან, მაგრამ რამდენი.
თოვლის ფიფქი თავნება ტუჩებზე რომ მადნება,
როგორც შენი ამბორი,
თოვლის ფიფქი თავნება ტუჩებზე რომ მადნება,
როგორც შენი ამბორი.

მისამღერი

დილა ოდელა დილა ოდელა ნანა...

გარეთ თოვს და გულში მაინც დარია,
შენთან მოვალ, შენსკენ მომიხარია.



კადრები ფილმიდან
„ყვავილი თოვლზე“ 1959 წელი.
რეჟისორი შოთა მანაგაძე

მუსიკალური განცხადება

რ. ლალიძე - „თოვლის ფიფქი“
მოუსმინე სიმღერის „მინუს“ ფონოგრამას და იმღერე თვითონ.

ფრანც შუბერტი



ფრანც შუბერტი

რომანტიზმი XIX საუკუნის ხელოვნების ახალი და მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მუსიკალური რომანტიზმი ავსტრიაში დაიბადა, პირველი რომანტიკოსი კომპოზიტორი ფრანც შუბერტი ვენაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ის ბეთჰოვენის უმცროსი თანამედროვე იყო, მაგრამ თუ ბეთჰოვენი ვენის კლასიკური სკოლის უკანასკნელი წარმომადგენელია, შუბერტი ახალი მიმდინარეობის - რომანტიზმის ფუძემდებელია.

მუსიკალური რომანტიზმისთვის დამახასიათებელია ახალი მცირე ფორმის ჟანრები: ბალადები, სიმღერები, რომანსები; საფორტეპიანო მინიატურები: ნოქტიურნი, ექსპრომტი, პრელუდია, მუსიკალური მომენტი; რომანტიკოსი კომპოზიტორები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ ზღაპრულ-ფანტასტიკურ,

ხალხური ყოფისა და ბუნების სურათებს, ისინი უარყოფდნენ არსებულ სინამდვილეს და აიდეალდნენ წარსულს. რომანტიკოსები თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში: ავსტრიაში – შუბერტი, გერმანიაში – ვებერი, იტალიაში – პაგანინი, რუსინი. რომანტიკოსები იყვნენ ასევე შემდეგი თაობის კომპოზიტორები - შუმანი, მენდელსონი, ბრამსი, შოპენი, ლისტი, ვაგნერი, ბერლიოზი, ბელინი და ვერდი.

რომანტიკოსებმა გააფართოვეს და გაამდიდრეს სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობა. შუბერტის სიმფონიების მელოდიური ხაზი ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი სიმფონიების თემები სიმღერებივით იმღერება და ამიტომ მის სიმფონიზმს მღერადი სიმფონიზმიც კი უწოდეს.

ფრანც შუბერტი დაიბადა 1797 წელს, ვენის გარეუბან ლიხტენტალში. მისი პირველი მუსიკის მასწავლებელი მამა იყო, რომელმაც ფრანცს ვიოლინოზე დაკვრა შეასწავლა. შუბერტების ოჯახში მუსიკა ძალიან უყვარდათ. ხშირად იმართებოდა მუსიკალური საღამოები: მამა უკრავდა ჩელოზე, ძმები — სხვადასხვა საკრავზე. პატარა შუბერტს შესანიშნავი ხმა ჰქონდა და საეკლესიო გუნდშიც გალობდა. ამ გარემოებამ უდავოდ დიდი გავლენა იქონია მომავალ მუსიკოსსა და კომპოზიტორზე. რამდენიმე წელი შუბერტმა კონვიქტში – ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელში დაჰყო. იქ ბევრს მეცადინეობდა კომპოზიციაში, დირიჟორობდა, განსაკუთრებით გაიტაცა სასიმღერო ჟანრმა.



შუბერტის ხელნაწერი

ახალგაზრდა, ნიჭიერი მუსიკოსი სამეფო კარის კომპოზიტორმა ანტონიო სალიერიმ შენიშნა. სწორედ სალიერი ითვლება შუბერტის პირველ მასწავლებლად კომპოზიციაში. სალიერიმ შუბერტი იტალიურ საოპერო ხელოვნებას აზიარა. კონვიქტში ფრანცმა მრავალი მეგობარი გაიჩინა. მეგობრები

საინტერესო საღამოებს აწყობდნენ: კითხულობდნენ შექსპირს, გოეთეს, ბაირონს, უკრავდნენ, მღეროდნენ. ამ საღამოების სული და გული შუბერტი იყო. ის თავის ახალ ნაწარმოებებს მეგობრებს ასმენინებდა და მათი აზრიც ძალიან აინტერესებდა.. შუბერტის საფორტეპიანო ნაწარმოებები რთული შესასრულებელი იყო, მათი დაკვრა ზოგჯერ თვით ავტორსაც კი უძნელდებოდა. ერთ-ერთ საღამოზე, შუბერტმა დაკვრისას ნოტები დახურა და ემოციურად წამოიძახა: „ეს შეუძლებელია, ამას თვით ეშმაკიც კი ვერ დაუკრავს“. საღამოებს, სადაც შუბერტის ნაწარმოებები სრულდებოდა, მეგობრებმა სიყვარულით „შუბერტიადები“ დაარქვეს. შუბერტმა კონვიქტი მალე მიატოვა და, საბოლოოდ, მუსიკა აირჩია თავის ჭეშმარიტ საქმედ. იგი ძალიან ბევრს წერდა. 1815 წელს, მხოლოდ ერთ წელიწადში 140-ზე მეტი სიმღერა შექმნა. სიმღერის შექმნის სურვილი ძილშიც კი არ ასვენებდა – გაიღვიძებდა და სასწრაფოდ იწერდა სიზმარში მოსმენილს, ამიტომ ძილის დროსაც არ იშორებდა სათვალეს. შუბერტმა სულ 31 წელი იცოცხლა. ამ ხნის განმავლობაში მან 600-მდე სიმღერა დაწერა. განსა-



შუბერტის სახლი

კუთრებით აღსანიშნავია: „კალმახი“, „სერენადა“, „მარგარიტა ჯარასთან“, „Ave Maria“, ვოკალური ბალადა „ტყის მეფე“ — გოეთეს მიხედვით, ვოკალური ციკლები — „მშვენიერი მენისქვილე ქალი“, „ზამთრის გზა“. შუბერტი ავტორია, ასევე, მრავალი საფორტეპიანო, სიმფონიური, საგუნდო და კამერული ნაწარმოებისა. გამომცემლები ძალიან ცოტას უხდიდნენ და გაჭირვება სულ თან სდევდა კომპოზიტორს.

შუბერტი ბეთჰოვენის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ მან მუსიკაში საკუთარი გზა აირჩია და დასაბამი მისცა ახალ ლირიკულ-რომანტიკულ სიმფონიზმს. იგი 9 სიმფონიის ავტორია. სიმფონია №8, „დაუმთავრებელი“ სახელით რომ არის ცნობილი, რომანტიკული მუსიკის მწვერვალად ითვლება.

შუბერტი. სიმფონია № 8, „დაუმთავრებელი“, სი-მინორი

სიმფონიის შესავლის თემა



I ნაწილის მთავარი თემა.



I ნაწილის დამხმარე თემა



გაიმღერე და იდირიჟორე

„დაუმთავრებელი სიმფონიის“ შექმნის ზუსტი თარიღი უცნობია. შუბერტმა ეს ნაწარმოები ავსტრიის მუსიკალურ საზოგადოებას მიუძღვნა და 1824 წელს მათ ორი ნაწილი გადასცა. დღემდე არავინ იცის, რატომ არ დაამთავრა შუბერტმა ეს სიმფონია.

მუსიკისმცოდნეები თვლიან, რომ სიმფონია, როგორც იდეურად, ისე აზრობრივად დასრულებულია. ასეთი სახელწოდება მას მხოლოდ ორი ნაწილის არსებობის გამო დაუმკვიდრდა.

სიმფონიის პარტიტურა კომპოზიტორის სიცოცხლეშივე დაიკარგა და ის მხოლოდ 43 წლის შემდეგ მისი მეგობრის ნივთებში იპოვეს. სიმფონია სი მინორი პირველად შესრულდა მაშინ, როდესაც შუბერტი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ამ დროისთვის უკვე შექმნილი და შესრულებულიც იყო მენდელსონის, ბერლიოზის, ლისტისა და სხვა გამორჩენილ რომანტიკოსთა სიმფონიური ქმნილებები.




გუსტავ კლიმტი
შუბერტი ფორტეპიანოსთან

მუსიკალური განცდებითა

ფრანც შუბერტი - სიმფონია №8 „დაუმთავრებელი“, I ნაწილი
მოუსმინე მუსიკას და აღნიშნე, რომელ რეგისტრებში ყდერს
მუსიკალური თემები
რა საკრავებზე ასრულებენ აღნიშნულ მუსიკალურ თემებს?

გამოიცანი და დაასახელე საკრავები



ანტონინ დვორჟაკი

„რაოდენ პატარაც არ უნდა იყოს ერი, არ დაიღუპება, თუ მას თავისი ხელოვნება ექნება“.
ა. დვორჟაკი



ანტონინ დვორჟაკი
(1841-1904)

„უბრალო ჩეხი მუსიკოსი“ - ასე უწოდებდა საკუთარ თავს XIX ს-ის II ნახევრის გამოჩენილი კომპოზიტორი, დირიჟორი, ჩეხური ეროვნული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ანტონინ დვორჟაკი.

მისი მრავალფეროვანი შემოქმედებიდან განსაკუთრებით პოპულარულია ორკესტრისთვის დანერილი „სლავური ცეკვები“, სავიოლონჩელო კონცერტი, IX სიმფონია. ეს ნაწარმოებები მუდმივად ჟღერს მსოფლიოს საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში.

დვორჟაკი 1892-95 წ.წ.-ში ნიუ-იორკის ეროვნული კონსერვატორიის რექტორი იყო. ამერიკაში ყოფნისას შეისწავლა მანამდე მისთვის სრულიად უცხო ხალხური მუსიკა და მოიხიბლა მისი სისადავითა და გულითადობით. განსაკუთრებით, ამერიკელ ზანგთა სასულიერო სიმღერები – სპირიტუელსები მოსწონდა. კომპოზიტორი წერდა: „მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყნის მომავალ მუსიკას საფუძვლად სწორედ ზანგური სიმღერები უნდა დაედოს. მინდა გავაკეთო ყველაფერი, რათა ყურადღება მიექცეს ამ არაჩვეულებრივ მუსიკალურ საგანძურს“. აქ შექმნა დვორჟაკმა თავისი IX სიმფონია, რომელსაც უწოდა „ახალი სამყაროდან“. ამ სიმფონიას ზოგჯერ „ამერიკულსაც“ უწოდებენ.

დვორჟაკის IX სიმფონია, კლასიკური სიმფონიების მსგავსად 4 ნაწილიანია. მასში კომპოზიტორმა გადმოსცა ახალი სამყაროსგან — ზანგების და ინდიელების ფოლკლორისგან, იქაური ბუნებისგან მიღებული შთაბეჭდილებები. სიმფონიის II ნაწილი – Largo – შთაგონებულია ამერიკელი მწერლის — ლონგფელოს ნაწარმოებით — „სიმღერა ჰაიავატაზე“, რომელიც ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს. მისი საოცნებო ხასიათის თემა დვორჟაკის მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთაგონებული ფურცელია. მეორე ნაწილში ზანგური და სლავური მოტივები ერთმანეთს ენაცვლება. გადმოცემულია განწყობა პოემის იმ თავისა, რომელშიც აღწერილია ინდიელთა ტომის ბელადის, ჰაიავატას საყვარელი მეუღლის — მინეგაგის დაკრძალვა.

ეს სიმფონია თავისი მხატვრული სახეებითა და ხასიათით რომანტიკული მუსიკის შესანიშნავი ნიმუშია. მისი მუსიკალური თემები გამოირჩევა მელოდიურობით, ემოციურობით და უშუალობით.



ინგლისური ქარახსა

პირველი ნაწილის დამხმარე თემა



მეორე ნაწილი - აგებულია სპირიტუელის თემაზე

დაადგინე ტონალობა და გაიმღერე ორ ხმაში



სიმფონიაში ამ თემას ინგლისური ქარახსა ასრულებს

დვორჟაკი შესანიშნავი პედაგოგი იყო. ერთხელ მან მოსწავლეებს ჰკითხა: - იცით, ვინ იყო მოცარტი?

ახალგაზრდებმა სახვადასხვა პასუხი გასცეს მასწავლებელს.

— მოცარტი — კლასიკოსია. — საოპერო კომპოზიტორია — სიმფონისტია.

— ჰაიდნის მიმდევარი და რომანტიკული მუსიკის მაუწყებელი...

პასუხები გრძელდებოდა, დვორჟაკი კი დუმდა და უარყოფის ნიშნად აქნევდა თავს. ამან შეგირდები ძალიან დააბნია. ბოლოს დვორჟაკმა ერთ-ერთ მონაფეს ხელი მოჰკიდა, ფანჯარასთან მიიყვანა, ცისკენ გაახედა და ჰკითხა:

— რას ხედავ?

მონაფე უხერხულად შეიშმუნა: მაპატიეთ, ვერაფერს, პატივცემულო.

— რაო, მზეს ვერ ხედავ?

დვორჟაკი მოსცილდა ფანჯარას და სრული სერიოზულობით და შთაგონებით თქვა:

— დაიმახსოვრეთ: მოცარტი – მზეა.

მუსიკალური განვითარება

ანტონინ დვორჟაკი - სიმფონია №9, I და II ნაწილები.

მოიძიე ინტერნეტში და მოუსმინე სიმფონიის ოთხივე ნაწილს.

ბანის გასაღები



ბანის ანუ „ფა“ გასაღებში ინერება საშუალო და დაბალი რეგისტრის ბგერები. ეს ბგერები მოიცავს მანძილს კონტროქტავის დო-დან პირველი ოქტავის დო-მდე.

კლავიატურა



სუბკონტრ-კონტროქტავა დიდი ოქტავა მცირე ოქტავა I ოქტავა II ოქტავა III ოქტავა IV ოქტავა V ოქტავა არასრული ოქტავა

„ფა“ გასაღებს უწოდებენ იმიტომ, რომ მისი გრაფიკული მოხაზულობა იწყება მცირე ოქტავის ფა-დან.




აი, როგორ დაიხვენა საუკუნეების მანძილზე გრაფიკულად ბანის და ვიოლინოს - „ფა“ და „სოლ“ - გასაღებები

დიდი ოქტავა



მცირე ოქტავა



XI საუკუნეში იტალიელმა პედაგოგმა და თეორეტიკოსმა გვიდო დ'არეცომ შექმნა ახალი სანოტო ნიშნები და ოთხხაზიანი სანოტო სისტემა. მანამდე ნოტები გამოისახებოდა ბერძნული ასოებითა და სპეციალური ნიშნებით — ნევმებით, ერთ ხაზზე. ასეთი სანოტო ჩანანერების წაკითხვა, გვიდო დ'არეცოს მონაფეებს, ძალიან უჭირდათ. ამიტომ, მან მუსიკალურ ბგერებს სანოტო ხაზებზე და ხაზებს შორის მიუჩინა ადგილი. 1026 წელს, რომის პაპის ინიციატივით, პირველად, საჯაროდ გაცხადდა მუსიკალური რეფორმა. მუსიკოსებმა რეფორმა მოინონეს და მიიღეს.



გ. მალერი. 1860-1911

გუსტავ მალერი


ავსტრიელი კომპოზიტორისა და დირიჟორის გუსტავ მალერის შემოქმედება ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია რომანტიზმსა და ექსპრესიონიზმს შორის. მისმა მუსიკამ დიდი გავლენა იქონია შონბერგზე, მოსტაკოვიჩზე, შნიტკეზე, ბრიტენზე. მალერის — დირიჟორის მოღვაწეობა მთლიანად მუსიკალურ თეატრთან იყო დაკავშირებული, თუმცა თავად არ დაუწერია არც ერთი ოპერა. იგი სიმფონიებისა და სიმღერების ავტორია. სიმღერებში, როგორც პირად დღიურებში, ისე გამოხატავდა საკუთარ გრძნობებს, სიმფონიები კი გრანდიოზული ნაწარმოებებია, რომლებში-

თაც კომპოზიტორი მთელ კაცობრიობას მიმართავს.

მალერი ამბობდა: „დაწერო სიმფონია — ჩემთვის იგივეა, რაც მუსიკალური ტექნიკის ყველანაირი საშუალებებით ავაშენო სამყარო“. სიმფონიებში ასახავდა თავის თანამედროვე საზოგადოებას, იყენებდა ყველაფერს, რაც კი ესმოდა გარშემო: სამხედრო სიგნალებს, მოტივებს ოპერეტებიდან, სამგლოვიარო თუ სალაშქრო მარშებს, სიმღერებსა და ცეკვებს. ზოგიერთი მისი სიმფონია კანტატა-ორატორიებს ჰგავს, ზოგიერთ სიმფონიაში კი ლექსებიც არის ჩართული.

მალერი 10 სიმფონიის ავტორია, რომელთა შორის არის როგორც ტრადიციული, 4, ასევე 5 და 6-ნაწილიანი სიმფონიები. მას ეკუთვნის ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები შუა საუკუნეების ჩინელი პოეტების ლექსებზე „სიმღერა დედამიწაზე“.

მალერის VIII სიმფონია — „სიმფონია 1000 შემსრულებლისთვის“, თავისი ჩანაფიქრით ბეთჰოვენის IX სიმფონიას უახლოვდება. ეს ერთგვარი „სიყვარულის ოდაა“, რომელიც ხოტბას ასხამს დედამიწას, ცხოვრებას, ადამიანს. მასში მონაწილეობს სოლისტ-მომღერლების ანსამბლი, სამი გუნდი და უზარმაზარი ორკესტრი.



გ. მალერის სანოტო ხელნაწერი




გუსტავ კლიმტი. მუსიკა

V სიმფონია ინსტრუმენტული ნაწარმოებია. ამ სიმფონიის IV ნაწილი — Adagietto ხშირად სრულდება როგორც დამოუკიდებელი საკონცერტო პიესა. მას მხოლოდ სიმებიან-ხემიანი საკრავები და არფა ასრულებს.

მუხიკალური განცვიბილება

გ. მალერი. V სიმფონია — Adagietto



ექსპრესიონიზმი (ლათ. Expressio – „გამოხატვა“, „გამომსახველობა“) ახალი მიმართულება XX ს-ნის 20-30-იან წლების მუსიკალურ ხელოვნებაში, რომელსაც ახასიათებს ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი განცდებისა და გრძნობების ძალზე მკვეთრად, მძლავრად, მწვავედ გადმოცემა. ექსპრესიონიზმის წყაროდ მიიჩნევენ ვაგნერის მუსიკალურ დრამას „ტრისტანი და იზოლდა“, მალერის გვიანდელ სიმფონიებს, რ. შტრაუსის ზოგიერთ ნაწარმოებს.

ო, ეს გიტარა!

თარი — გიტარის ირანული წინამორბედი



გიტარა-სიმებიანი საკრავია. გიტარის სამშობლო ცნობილი არ არის. ვარაუდობენ, რომ იგი ძველ საბერძნეთში წარმოიშვა. ძველი სიმებიანი საკრავების შესწავლით შეგვიძლია დაახლოებით გამოვიკვლიოთ და აღვწეროთ ის გზა, რომელიც განვლო გიტარამ სრულყოფილებამდე. შუმერი, ბაბილონი, ასურეთი, ეგვიპტე - აი, ის ცივილიზაციები, სადაც არაერთი სახის სიმებიანი საკრავი არსებობდა. მესოპოტამიასა და ეგვიპტეში აღმოჩენილია დაახლოებით 3000 წლის წინანდელ თიხის და ქვის ბარელიეფებზე გამოსახული მსგავსი საკრავები, შუმერში — ოქროს ხარისთავიანი არფა, ეგვიპტეში — ციტრა. სიმებიანი საკრავები გავრცელებული იყო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ინდოეთში ვინა, სიტარა და სხვ. ძველ საბერძნეთსა და რომში ძალზედ პოპულარული იყო კითარა. იგი ხელოვნებისა და მზის ღმერთის აპოლონის განუყრელი ატრიბუტი იყო. აპოლონი მასზე უკრავდა და მღეროდა ცხრა მუზასთან ერთად ღმერთებისთვის გამართულ ნადიმებზე. გადმოცემის თანახმად, ჰერმესმა კუს ჯავშნისგან გააკეთა პირველი კითარა და აპოლონს აჩუქა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ეს კითარა მივიჩნიოთ გიტარის შორეულ წინაპრად? გიტარის მსგავსი სიმებიანი საკრავია ქნარი — იგივე ლირა და არფა, რომელზედაც ლეგენდარული ორფეოსი უკრავდა. ძალზე პოპულარული იყო არფები ეგვიპტეში. უძველესი სიმებიანი საკრავების კორპუსებს, უმეტესად, გამომშრალი გოგრისგან, მასიური ხისა და კუს ბაკნისგან აკეთებდნენ. ახ.წ. III-IV საუკუნეებში ჩინეთშიც გვხვდება გიტარის მსგავსი საკრავები, რომელთაც გამოკვეთილი ფორმა ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი საკრავის — ჟუანის კორპუსი ორი ნაწილისგან შედგება — ზედა და ქვედა დეკასგან. VI საუკუნიდან ევროპაში გავრცელდა ლათინური და მავრიტანული გიტარები. მოგვიანებით კი, XV-XVI საუკუნეებში გაჩნდა საკრავი ვიოლა, რომელმაც გავლენა მოახდინა თანამედროვე გიტარის და ვიოლონჩელოს ჩამოყალიბებაზე. სიტყვა გიტარა ორი სიტყვიდან წარმოიშვა: „სანგიტა“ რაც ძველინდურ სანსკრიტულ ენაზე მუსიკას ნიშნავს, ხოლო ძველირანული სიტყვა „თარ“ — სიმს. სახელი გიტარა ევროპაში პირველად შუა საუკუნეების ლიტერატურაში




პაკო დე ლუსია — ესპანელი გიტარისტი



იან ვერმეერი. „ქალი გიტარით“ (1670)

XIII საუკუნიდან გვხვდება. ამ პერიოდში გიტარის განვითარების ცენტრი იყო ესპანეთი, სადაც ძველი რომიდან შემოვიდა ლათინური გიტარა. XV საუკუნიდან ესპანეთში ვრცელდება ხუთსიმებიანი გიტარა. მას ესპანური გიტარა ეწოდა. XVIII საუკუნეში განვითარდა ექვსსიმებიანი გიტარა. XVIII-XIX სს.-ში გიტარის სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იტალიელმა კომპოზიტორმა და ვირტუოზმა გიტარისტმა მაურო ჯულიანიმ. XIX საუკუნის ბოლოს კი ესპანელმა ოსტატმა ანტონიო ტორესმა გიტარას თანამედროვე იერსახე მისცა. ამ გიტარებს დღეს კლასიკურს ვუწოდებთ. იმ დროის ყველაზე ცნობილი ესპანელი კომპოზიტორი და გიტარისტია ფრანსისკო ტარეგა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გიტარაზე დაკვრის კლასიკურ ტექნიკას. XX საუკუნეში მისი საქმე გააგრძელა გამოჩენილმა ესპანელმა კომპოზიტორმა, გიტარისტმა და პედაგოგმა ანდრეს სეგოვიამ.



თითების განლაგება გიტარის გრიფზე.



სუბიალუხი განვითარება

1. ტარეგა - პიესა გიტარისათვის



ელექტროგიტარა



დირიჟორის ხელოვნება




ხშირად დირიჟორის პატარა ხის ჯოხს ჯადოსნურს უწოდებენ. მისმა ერთმა მოძრაობამ შეიძლება ლიტავრებისა და საყვირების მძლავრი ქუხილი, ვიოლინებისა და ვიოლონჩელთა ნაზი სიმღერა და ფლეიტების ჰაეროვანი ტრელები მოგასმენინოთ. ეს პატარა ჯოხი მრავალფეროვანი და მრავალხმიანი უზარმაზარი ორკესტრის ბატონ-პატრონია. თავისთავად უსულო საგანი, იგი მხოლოდ დირიჟორის ხელში იქცევა, მართლაცდა, საოცარ, ყოვლისშემძლე ძალად.

ვინ არიან დირიჟორები და როდის შეიქმნა სადირიჟორო ხელოვნება? ...ფანტაზიით შორეულ წარსულში გადავიდეთ, იმ დროში, როდესაც



უძველესი ადამიანები ნადირობის შემდეგ კოცონის გარშემო ერთად იკრიბებოდნენ; ჟღერდა ლერწმის ფლეიტების, ნიჟარებისა და დოლების მძლავრი ხმა. მამაკაცები რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ და სათავეში ტომის ბელადი ედგათ. სწორედ ის ანიშნებდა ცეკვის რიტმს თავისი ტანის მოძრაობის მეშვეობით მოცეკვავეებს და მუსიკოსებს. ისინი ბელადის ისრის თითოეულ მოძრაობას ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, მათთვის ყველა ეს პირობითი ნიშანი გასაგები და მისაღები იყო.


შესაძლოა, სწორედ ასე გამოიყურებოდა კაცობრიობის ისტორიაში „დირიჟორობის“ ყველაზე ადრეული სცენა. იმ უძველესი დროიდან მოდის ეს ტრადიცია – მუსიკოსებისა და მომღერლების წინ დგას ადამიანი, ხელმძღვანელი, რომელსაც ყველა ემორჩილება.



გამოჩენილი დირიჟორები



XX საუკუნის იტალიელი დირიჟორი არტურო ტოსკანინი



მუზიკალური განწყობა

ჯ. პუჩინი - ოპერა „ტურანდოტი“, კალაფის არია.
მამაკაცის რა ხმა ასრულებს ამ არიას?



დირიჟორი (Diriger) ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მართვას, ხელმძღვანელობას





თრიალეთის ვერცხლის თასი

რა არის ფერხული და როგორ ცეკვავენ და მღერიან მას? ფერხულის მთავარი ნიშანი წრეში მოძრაობაა. ოდესღაც, შორეულ წარსულში, ასეთ მოძრაობას მაგიური, რიტუალური აზრი ჰქონდა. წრე მზის სიმბოლოა. ფერხული ნელი, წრიული მოძრაობების საერთო სახელწოდებაა. ის მზისადმი მიძღვნილ რიტუალურ დღესასწაულებზე სრულდებოდა. საფერხულო სიმღერები და დასაკრავები ქართულ ხალხურ მუსიკაში ერთ-ერთი უძველესია თავისი წარმოშობით. გავიხსენოთ ბერძენი ისტორიკოსის, ქსენოფონტეს ცნობა (ძვ.წ. V-IV ს), რომელიც ქართველთა უძველესი წინაპრების, მოსინიკების შესახებ მოგვითხრობს: „მას შემდეგ, რაც ისინი გამწკრივდნენ, ერთმა მათგანმა დაიწყო, ხოლო ყველა დანარჩენი მღერით რიტმულად მიაბიჯებდა.“ 1938 წელს თრიალეთის გათხრების დროს წალკაში აღმოაჩინეს ვერცხლის თასი, რომელსაც ძვ. წ. XVIII-XVII საუკუნეებით ათარიღებენ. მასზე ფერხულის მოცეკვავე ადამიანები არიან გამოსახულნი: 22 ნიღბიან მეფერხულეს ჩაუბამს ფერხული და მიემართება მხეცისთავიანი ღვთაებისკენ. თასის მოხატულობის ქვედა სართულში გამოსახული სამსხვერპლო ირმები კი ფერხულის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ. მეფერხულეებს მოუჩანთ მელიის გრძელი კუდეები, ხელში სასმისები უჭირავთ. ფერხულის ამ წყობას სვანურ ფერხულ “მელია ტელეფიას” ამსგავსებენ.

საფერხულო, მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდის უძველესი ქართული სახელწოდება იყო **ძნობა**, ხოლო საფერხულო მწყობრის, ანუ გუნდისა - **მძნობარი**. ფერხულის აღმნიშვნელი სხვა ძველი ქართული სიტყვებიც გვაქვს: მრგვალი, წრიული, დამბა, დაბმული, შუშპარი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ფერხული „მრგვალთა წყობას“, ხოლო ფერხისა – „მრავალთ მობმით როკვას“ ნიშნავს. ე. ი. ხელჩაკიდებულ ადამიანთა მრგვალად, ერთად ცეკვას.



მეფერხულეთა ძველბერძნული თიხის ქანდაკებები

ფერხული, გარდა მრგვალი წყობისა, შეიძლება იყოს ნახევრად წრიული, ასევე სწორხაზოვანი, ანუ მწკრივის ან მწკრივებისაგან შემდგარი. ფერხული მრგვალი წყობის, ხოლო ფერხისა — მწკრივად მოძრავი მომღერალ-მოცეკვავეთა ჯგუფია. საფერხულო სიმღერებს ჰყავთ თავისი მთქმელი, შემბანებელი. მაგ. „მუმ-მელი მუხასა“ შეიძლება იყოს ერთპირული ანუ ერთგუნდოვანი, ასევე — ორპირული, სადაც ერთი გუნდის მიერ შესრულებულ საფერხულო მელოდიას იმეორებს მეორე. ამგვარად სრულდება სვანური საფერხულო სიმღერა „შინა ვორგილ“. ცნობილია, ასევე, ორსართულიანი და სამსართულიანი ფერხულები, სადაც ზედა მწყობრის მონაწილეები ქვედა წრის მეფერხულეთა მხრებზე დგანან. ასეთია ქართლური „ზემყრელო“, თუშური „ქორბელელა“.

ფერხულის მონაწილეთა რაოდენობა სხვადასხვაა (ხუთკაციდან დაწყებული). ძველად 100-150 კაციანი ფერხულიც სრულდებოდა ბერიკაობის დროს. მაგ: ფერხული „დათვობია“, „დათო, დათო“. ფერხულებს ზოგჯერ საკრავთა თანხლებითაც ცეკვავდნენ.



სლავური ფერხული



ქართული ფერხული



სირინოზების ფერხული მხატვარი ე. ჰოინტერი

იმერეთი



იმერეთი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარზე მდებარეობს. იგი ესაზღვრება ქართლს, სამეგრელოს, რაჭას, ლეჩხუმს, გურიას. „იმერეთში“ მთელი დასავლეთ საქართველო იგულისხმებოდა ძველად, ერთ-

ერთი კუთხის სახელწოდებად კი მოგვიანებით ჩამოყალიბდა. იმერეთი იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად.

იმერეთშია საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ქუთაისი, რომელიც ანტიკურ წყაროებშიც კი არის მოხსენიებული და ყოველთვის ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური ცენტრი იყო. აქ არის ბაგრატის ტაძარი (X—XI ს.), გელათის სამონასტრო კომპლექსი (XII ს.).


თავისი მდებარეობის გამო იმერეთს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან, რამაც თავის მხრივ გავლენა იქონია იმერულ მუსიკალურ კულტურაზეც. იგი შუალე-



იმერული ფანდური

დურ ადგილს იკავებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მუსიკალურ შემოქმედებაში.

იმერეთში გავრცელებულია ისტორიული, სუფრული და სანესო ჟანრის სიმღერები. მათი უმრავლესობა სამხმიანია. საგუნდო სიმღერები სრულდება ერთი ან ორი გუნდის (ორპირული) მონაცვლეობით. შრომის სიმღერების ყველაზე გავრცელებული სახეობაა „ნადური“, რომელიც გურულ-აჭარულ ამავე ტიპის სიმღერებს ენათესავება. „ნადურები“ იწყება დინჯად, სიმღერა თანდათან ჩქარდება და ორი გუნდის მონაცვლეობით შესრულებასთან ერთად დინამიურ,



გელათის სამონასტრო კომპლექსი. XII ს.

სწრაფ ხასიათს იძენს. „ნადი“ მეზობლებისა და ახლობლების ურთიერთდახმარების გავრცელებული ფორმა იყო მთელ საქართველოში.

იმერული სიმღერები საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით, ქვემოიმერული, რომელიც გურულს უახლოვდება. აქ გავრცელებულია: „ალიფაშა“, „ვახტანგური“, „ნადური“, „ხელხვავი“, რომლებიც გურია-აჭარაშიც გვხვდება.

ზემოიმერული სიმღერები კი ქართლ-კახურს უახლოვდება: „თებროლე მიდის წყალზედა“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „ჭონა“, „იავნანა“, „გონჯა“ — ქართლშიც გვხვდება.


განსხვავდება ზემოიმერული და ქვემოიმერული „მაცრულებიც“.

გამორჩეული და ძალზე თვითმყოფადი ადგილი უკავია მგზავრულ-ლაშქრულ სიმღერებს, რომლებიც სხარტი ენერგიული და რთული შესასრულებელია, მაგ: „ცხენოსნური“, „იმერული მგზავრული“, „კეისრული“, „დელი-დელა“ და ა.შ.

მკვირცხლი ხასიათით გამოირჩეოდა საოხუნჯო სიმღერები: „ოთხმოცი წლის ბეზია“, „ჩემო ნათლიდედაო“, „იმერული საოხუნჯო“ და სხვ. გავრცელებული ხალხური საკრავებია ჩონგური, ფანდური (ქართლიდან შემოსული), გიტარა.



დავით კაკაბაძე. პეიზაჟი



მუხიკალური განცხადება

ცხენოსნური იმერული საოხუნჯო

იმერული საოხუნჯო



ჭანდალ, ვანდალი, ვანდალო,
ჭანდალი და ვანდალო, ჰე!

გოგოს ვეჭარებოდი, ჰერელელო,
აკვანს ვეფარებოდი, ჰერელელო,
ქალებმა შექმნეს ზუტუნის, - ჰერელელო,
მე გარეთ გამოგუნკულდი, ჰერელელო.

გოგომ ტეეში დამიპინა, ჰე...
ჩიტის ბუდე ვიცი მეო, ჰე...
ერთი-ორი ქე მაკოცა, ჰე...
მისი გულის ჭირიმეო, ჰე...

ჭელინტი ვეელის ჭამა მიეგარს, ჰე...
კბილის გაკრატუნებაო, ჰე...
ღამას გოგოს კოცნა მიეგარს, ჰე...
გულში ჩახუტუნებაო, ჰე...

წისქვილს ზური დაფურიგე, ჰე...
წამოვიდა მინდობითო, ჰე...
თქვენ წახვალთ და ჩვენ დავრჩებით, ჰე...
ბრძანდებოდეთ მშვიდობითო, ჰე...

გაიმღერე

პა - რაღ ვა - რა - ლი, ვა - რა - ლო, პა - რა - ლი და ვა - რა - ლო ჰე!



ქართული ფოლკლორი


ანზორ კავსაძე (1930–2008) — ქართველი ლოტბარი, საქართველოს სახალხო არტისტი, დაიბადა ჭიათურაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება. სწავლის პარალელურად ეწეოდა სადირიჟორო მოღვაწეობას. 1951 წლიდან საქართველოს რადიოს კაპელის დირიჟორი და მომღერალია, შემდეგ კონსერვატორიასთან არსებული გუნდისა და სახელმწიფო ფილარმონიის კაპელის დირიჟორი. 1957–66 წწ. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელია. იგი ცნობილი ლოტბარის სანდრო კავსაძის შვილიშვილია. სწორედ მისი ანსამბლის შესრულებით „ჩაკრულო“ გააგზავნეს კოსმოსში 1974 წელს მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სხვა შედეგებთან ერთად.

გიტარის ვაკუთილი

- ისწავლეთ გიტარის აწყობა? ახლა გავეცნოთ თითების დასახელებებს: მაგ. საჩვენებელი თითი - 1, შუა თითი - 2, არათითი - 3, ნეკა თითი - 4, ცერა თითი - ცერი.



ბარე - საჩვენებელი თითით მთლიანად იფარება ექვსივე სიმი და გამოისახება ასე



ს ა რ ჩ ე ვ ი

დასაწყისი.....	3
რომელი სიმღერაა უძველესი.....	4
ჟანა დარკის მონოლოგი.....	5
მათეს პასიონი.....	6
მუსიკა კინოსა და თეატრში.....	8
გია ყანჩელი. „ვეითელი ფოთლები“	12
ვენის კლასიკოსები.....	15
მუსიკა და საზოგადოება.....	17
რევაზ ლალიძე „თოვლის ფიფქი“.....	19
ფრანც შუბერტი.....	20
ანტონინ დვორჟაკი.....	22
გუსტავ მალერი.....	24
ო,ეს გიტარა.....	25
დირიჟორის ხელოვნება 1.....	26
ფერხული.....	27
იმერეთი.....	28
აჭარა.....	30
შავშეთი.....	32
ლახეთი.....	33
გურია.....	34
Across The Universe.....	37
The Beatles.....	38
შექსპირი და მუსიკა.....	39
პროკოფიევი. ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“.....	40
დირიჟორის ხელოვნება 2.....	41
აფრიკული დოლები.....	43
მაია ოთიაშვილი „მარტოხელა ფიფქი“.....	45
იმპრესიონიზმი. კლოდ დებიუსი.....	46
„თოვლი“.....	47
მორის რაველი.....	48
ჯაზი.....	50
ბლუზი და სპირიტუელსი.....	51
Dream a Little Dream of me.....	53
რეგტაიმი.....	54
ჯაზის მიმართულებები.....	55
ჯორჯ გერშვინი.....	56
What a Wonderful World.....	58
შენ ხარ ვენახი.....	60
რევაზ ლალიძე „სიმღერა თბილისზე“.....	61
ბელა ბარტოკი.....	63
დირიჟორის ხელოვნება 3.....	65
ედუარდო დი აპუა „O Sole Mio“. ლუჩანო პავაროტი.....	67
მითები და ლეგენდები. მარსიასი.....	69
არჩილ კერესელიძე „ველსაბამი“.....	71
დირიჟორის ხელოვნება 4.....	72
ბიბინა კვერნაძე „გაზაფხულდა აყვავილდა ნუში“.....	75
დირიჟორის ხელოვნება 5.....	76
მიხეილ ზაქარიაშვილი „მზეო თიბათვისა“.....	79
დიმიტრი შოსტაკოვიჩი VII სიმფონია.....	80
ნუგზარ ვაჭაძე. მოლოდინი.....	81
რიხარდ შტრაუსი.....	82
კარლ ორფი.....	84
გიორგი გორდენიანი „საყვარელო ჩემო თბილის ქალაქო“.....	86
ენდრიუ ლოიდ უებერი.....	87
I Don't Know How to Love Him.....	88
Let It Snow.....	89
We are the champions.....	90
Finale 2008.....	91